ს.ს.ი.პ. "თბილისის არქიტექტურის სამსახურს"

ასლი: ს.ს.ი.პ. "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის

ეროვნულ სააგენტოს"

ასლი: კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს

ასლი: ს.ს.ი.პ. "ქონების მართვის სააგენტოს"

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის

დავით ლორთქიფანიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგეხსენებათ, ქ. თბილისში, გუდიაშვილის ქ. №3-ში შ.პ.ს. "სიტი ემ" (ს/კ №204497295) აწარმოებს თბილისისა და ქვეყნისათვის ერთ-ერთ ულამაზეს და უმნიშვნელოვანეს პროექტს „რიქსოს თბილისი" (საკადასტრო კოდი: №01.15.04.027.004).

გარდა თავისი ეკონომიკური, არქიტექტორული და სამეურნეო ღირებებულებებისა ეს პროექტი გამორჩეულია ასევე იმით, რომ შ.პ.ს. „სიტი ემ" ვალდებულების შესრულების სახით საქართველოს სახელმწიფოს გადასცემს 3000 კვ.მ-ს უსასყიდლოდ, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სამუზეუმო-საექსპონატო ფართის სახით. ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია დამეთანხმებით.

აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება გახლავთ ის, რომ წლებია ჩვენი მუზეუმი და შ.პ.ს. „სიტი ემ" ძალიან ნაყოფიერად და ჰარმონიულად თანამშრომლობენ. პრაქტიკულად ჩვენი ყველა შენიშვნა, თხოვნა თუ მოთხოვნა გათვალისწინებული იქნა ინვესტორის მიერ. დამეთანხმებით, ეს საკმაოდ კარგი მაგალითია ბიზნესის თანამშრომლობისა კულტურასა და მეცნიერებასთან. ერთ-ერთი საკითხი, რაზეც ჩვენ მივმართეთ ბატონ იციკ მოშეს (შ.პ.ს. „სიტი ემ"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი) იყო ის საკითხი, რომ შენობა მაქსიმალურად ახლოს მოედგა მუზეუმის კედელთან, რის გამოც დაირღვა სამეზობლო მიჯნის ზონა ჩვენ კუთვნილ ტერიტორიასთან (**საკადასტრო კოდი 01.15.04.027.002**) რაზეც ვაცხადებთ თანხმობას.

მუზეუმის ფუნქციონირებისათვის ყველაზე ხელსაყრელი შესაძლებლობა კედლების ერთმანეთისაგან ძალიან ახლოს განთავსება იყო რასაც ნორმალური ფუნქციონირებისათვის აღნიშნულ გადაწყვეტილებას უდიდესი

მნიშვნელობა ჰქონდა. შესაბამისი თხოვნით ჩვენ მივმართეთ ბატონ იციკ მოშეს (შ.პ.ს. „სიტი ემ“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი) და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

მრავალი საფეხურის გავლით და “სიტი ემი“-ს დიდი ძალისხმევით პროექტში შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ ეტაპზე კომპანიას სჭირდება ახალი, კორექტირებული სამშენებლო ნებართვა და კორექტირებული პროექტი, სადაც გარკვეული ხარვეზები შ.პ.ს. „სიტი ემ“-ს სწორედ ჩვენი თხოვნის შესრულების გამო წარმოექმნა (საუბარია სამეზობლო მიჯნის დარღვევაზე).

ვუწევთ რეკომენდაციას შ.პ.ს. „სიტი ემ“-ს და ვთხოვთ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ჩვენს დედაქალაქში კიდევ ერთი საინტერესო პროექტის დროულად განხორციელებას.

პატივისცემით:

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი

დავით ლორთქიფანიძე